



08.02.2013

დისკუსია „ნადირობის შესახებ კანონში“ შეტანილ ცვლილებებზე

ეკა მაღალაძე

შეუერთდი განხილვას

გუშინ მედიაკლუბ „ფრონტლან ჯორჯიაში“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ცხოველთა უფლებების კომიტეტმა“ საჯარო დისკუსია მოაწყო. დისკუსიის მთავარი თემა 2011 წლის ბოლოს ნადირობის შესახებ კანონში შესული ცვლილებები იყო. საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ, საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ ცხოველებზე ნადირობა დაშვებული გახდა. დისკუსიაში მონაწილეობდნენ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ „ნაკრესის“ და ცხოველთა უფლებების კომიტეტის წარმომადგენლები, ასევე ამ სფეროთი დაინტერესებული პირები.

გარემოსდამცველთა განსაკუთრებით შეშფოთებას ის ფაქტი იწვევს, რომ მთავრობას არანაირი მექანიზმი არ აქვს შემუშავებული ნადირობისათვის ნებადართულ ტერიტორიებზე კონტროლის, მონიტორინგის, ბრაკონიერობასთან ბრძოლის, ცხოველთა დაცვისა და აღწარმოებისთვის; არ არსებობს მონაცემები სანადირო ობიექტების სიაში შეტანილი სახეობების რიცხოვნობისა და პოპულაციების მდგომარეობის შესახებ.

"მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენელი ირაკლი მაჭარაშვილი აცხადებს, რომ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული კვოტები სანადირო ცხოველების რაოდენობის შესახებ ყალბ მონაცემებს ეყრდნობა, რადგან არც ერთ სახელმწიფო თუ სამეცნიერო უწყებას სანადირო ცხოველთა სახეობების აღრიცხვა არ ჩაუტარებია. „ამასთანავე, აბსურდულია მოსანადირებელი ინდივიდების რაოდენობის დაკანონება იმ ტერიტორიების დასახელების გარეშე, სადაც

ამ ცხოველების მოპოვებაა შესაძლებელი,"- აღნიშნავს მაჭარაშვილი.

გარემოსდამცველთა განმარტებით, აღნიშნული ცვლილებები ეწინააღმდეგება საერთაშორისო გარემოსდაცვითი შეთანხმებების ძირეულ პრინციპებს.

გადაწყვეტილება მიღებულია ნაჩქარევად და გაუმჭვირვალედ, დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, რაც ასევე არღვევს ორჰუსის კონვენციას.

„მწვანე ალტერნატივამ“ უკვე მიმართა სასამართლოს აღნიშნული კანონის შეჩერებისა და ბათილად ცნობის შესახებ, თუმცა, შეჩერებაზე უარი მიიღო, საქმეზე კი ჯერ კიდევ მოსამზადებელი სხდომები მიმდინარეობს.

დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი იყვნენ გარემოს დაცვის მინისტრი გიორგი ხაჩიძე, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზაალ გამცემლიძე, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლები, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე და სხვა ოფიციალური პირები. თუმცა, არც ერთი მათგანი შეხვედრას არ დასწრებია.



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli (Change)

Comment

Facebook social plugin

